8324-გ-3-202310251257

N 8324-გ 25.10.2023

სსიპ მუნიციპალური
განვითარების ფონდი

გადაწყვეტილება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება: **„ინოვაციები, ინკლუზიური განათლება და ხარისხი“ (I2Q)**
განმახორციელებელი: **სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
მისამართი: **დ. აღმაშენებლის გამზ. N150, თბილისი, საქართველო**
ტენდერის/კონტრაქტის საიდენტიფიკაციო ნომერი: **#IBRD/I2Q/CW/NCB/09-2023**
კონტრაქტის დასახელება: **დაბა ნარუჯას საჯარო სკოლის რეკონსტრუქცია/რეაბილიტაცია (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი).**
შერჩევის გამოყენების მეთოდი: **ეროვნული საბაზრო მიდგომა**
სამუშაოების ხანგრძლივობა: **15 (თხუთმეტი) თვე**
შეფასების ვალუტა: **ლარი**
საკონტრაქტო ღირებულება: **6,501,300.00 ლარი**

ტენდერში მონაწილე კომპანია:

შპს „ქრიათივ იმფრეშენს კავკასუს“

გამარჯვებული კომპანია:

დასახელება: **შპს „ქრიათივ იმფრეშენს კავკასუს“**
მისამართი: **საქართველო, ბათუმი, ზ. გორგილაძის ქუჩა, N91**
სატენდერო წინადადების ამოკითხული ფასი: **6,501,300.00 ლარი**
შეფასებული ფასი: **6,501,300.00 ლარი**
საკონტრაქტო ფასი: **6,501,300.00 ლარი**

პროექტის მოკლე აღწერილობა:

პროექტი მოიცავს, დაბა ნარუჯას საჯარო სკოლის შენობის და ეზოს სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას. გათვალისწინებულია შენობის გადაგეგმარება, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება ხხხ მოსწავლის განთავსება სკოლაში, ასევე გათვალისწინებულია სხვა და სხვა ადმინისტრაციული, ჰიგიენური, საერთო დანიშნულების ოთახების გამოყოფა. ყველა არსებული კედლები და იატაკები სრულად იქნება გასუფთავებული ძველი მოპირკეთებისგან და შეიცვლება ახლით პროექტის შესაბამისად. ასევე შეცვლას ექვემდებარება შენობის ფასადის მოპირკეთების ელემენტები, გადახურვის ბურული და წყალარინებითი

ელემენტები პროექტის შესაბამისად. პროექტით გათვალისწინებულია ლიფტის მშენებლობა შენობის გარე ფასადზე, რაც უზრუნველყოფს შშმ პირთათვის ყველა სართულზე მისაწვდომობას. გათვალისწინებულია სკოლის ეზოს სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც მოიცავს განათების ბოძების, წყლის სოკოს, გამწვანების, ჩარდახების, სპორტული მოედნის რეაბილიტაციას. ასევე შეიცვლება ეზოში არსებული ასფალტის ბილიკები ახლით. დამონტაჟდება ბეტონის პანდუსები შშმ პირთათვის. პროექტით გათვალისწინებულია არსებული საქვაბე შენობის დემონტაჟი და ახალი საქვაბე შენობის აშენება.

დავით ტაბიძე

აღმასრულებელი დირექტორი

დირექცია